

საქართველოს ეროვნული პარკების მენეჯმენტის ეფექტურობის
დინამიკა ბოლო 10 წლის მანძილზე

ნათია მსუქნიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე
ბუნებათსარგებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად

ბუნების დაცვისა და მეტყვეობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი


ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია მსუქნიშვილი



22.06.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა ეხება საქართველოს ეროვნული პარკების მენეჯმენტის ეფექტურობის დინამიკის შეფასებას ბოლო 10 წლის მანძილზე. იმისათვის, რომ დაცულმა ტერიტორიებმა შეასრულონ თავიანთი დანიშნულება, საჭიროა კარგი მენეჯმენტი და ძლიერი საინფორმაციო ბაზა. მართვის შეფასებისთვის, ნაშრომში გამოვიყენეთ METT მეთოდოლოგია, რომელიც აფასებს მენეჯმენტის ეფექტურობას. 2024 წელს გამოვკითხეთ თბილისის, ბორჯომ-ხარაგაულის, მტირალას და კოლხეთის ეროვნული პარკის მენეჯერები. 2023 წელს CNF-ის მიერ შეფასებული ალგეთის, ვაშლოვანის, თუშეთის, ყაზბეგის და ლაგოდეხის ნაკრძალისა და აღკვეთილის METT მეთოდით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები დაცული ტერიტორიების სააგენტოსგან გამოვითხოვე. აღნიშნული დაცული ტერიტორიების შერჩევას და METT მეთოდით შეფასებას საფუძვლად 2013 წლის კვლევა უდევს. სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით განვიხილეთ მართვის ეფექტურობის დინამიკა. მეტად ობიექტური შედეგებისთვის ჩავატარეთ ექსპერტების და მკვლევრების საკონტროლო გამოკითხვა. არსებული მონაცემებით გამოვთვალეთ შეფასების საშუალო მაჩვენებლები და წლების მიხედვით შევადარეთ. ექსპერტების შედეგები მხოლოდ 2023/24 წლის მენეჯერების შეფასებებს შევადარეთ.

მონაცემებზე დაყრდნობით ნათლად ჩანს მენეჯმენტის ეფექტურობის დინამიკა. შევიმუშავე შესაბამისი დასკვნები. კვლევის შედეგებს უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია - ისინი გადაეცემა საქართველოს გარემოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში არსებულ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, დაცული ტერიტორიების მენეჯერებსა და დონორ ორგანიზაციებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეფექტური მენეჯმენტი, შეფასების დინამიკა, ეროვნული პარკები, დაცული ტერიტორიები.

Abstract

The present study deals with the assessment of the dynamics of the management efficiency of the national parks of Georgia over the last 10 years. For protected areas to fulfill their purpose, good management and a strong information base are needed. For the evaluation of management, I used the METT methodology in the thesis, which evaluates the effectiveness of management. In 2024, I interviewed managers of Tbilisi, Borjom-Kharagauli, Mtirala and Kolkheti National Parks. In 2023, I requested the results of the survey conducted by the METT method of the Algeti, Vashlovani, Tusheti, Kazbegi and Lagodekhi protected areas assessed by the CNF from the Agency of Protected Areas. The 2013 study is the basis for the selection of the mentioned protected areas and evaluation by the METT method. Based on these data, I discussed the dynamics of management efficiency. For more objective results, I conducted a control survey of experts and researchers. Based on the available data, I calculated the average values of the assessment and compared them according to the years. I compared the results of the experts only with the estimates of the managers of 2023/24.

Based on the data, the dynamics of management efficiency can be clearly seen. I developed relevant conclusions. The results of the research have immediate practical significance - they will be transferred to the Agency of Protected Areas within the structure of the Ministry of Environment and Natural Resources of Georgia, managers of protected areas and donor organizations.

Key words: Effective management, Assessment dynamic, National parks, Protected areas.

მადლობა

მადლობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მოწოდებული ინფორმაციისთვის. გარემოსდაცვითი და ტურისტული ორგანიზაციების ექსპერტებს გამოვითხვამი მონაწილეობისთვის: მაკა ბიწაძეს (WWF), ლევან თაბუნაძეს (CNF), ბეჟან ლორთქიფანიძეს (NACRES), თინათინ არველაძეს (SABUKO), კახა სუხიტაშვილს (CENN), გიორგი რაჯებაშვილს (EcoToursGeorgia), გიორგი ზანგალაძეს (Expert Guides Georgia-ს), თეიმურაზ პოპიაშვილს (Georgian Photo Safari), გიორგი იანქოშვილს (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი), ლევან მუმლაძეს (ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი), კონსტანტინე კერესელიძეს (ბოტანიკის ინსტიტუტის მკვლევარი).

მადლობა სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, ბატონ ზურაბ ჯავახიშვილს.